მომსახურების გადახდის პირობები

პუნქტი 1. მომხმარებელი ვალდებულია მოახდინოს სერვისის საფასურის გადახდა მიწოდებული ინვოისის შესაბამისად აქტიური (შეძენილი) მომსახურების ვადის შეწყვეტამდე. თუ ინვოისი გამოიწერა მომსახურების პირველადი შეკვეთიდან, მომსახურება არ დაიწყება გადახდის გარეშე.

პუნქტი 2.

- პლასტიკური ბარათით (**Visa / Mastercard)** ონლაინ გადახდისას თანხა ჩვენს ანგარიშზე აისახება მომენტალურად.
- საბანკო გადმორიცხვით გაკეთებული ტრანზაქცია აისახება იმავე სამუშაო დღეს, მაგრამ 18:00 საათის შემდეგ გაკეთებული ტრანზაქცია აისახება შემდეგ სამუშაო დღეს. საბანკო გადმორიცხვის შემთხვევაში გთხოვთ დანიშნულებაში მიუთითეთ ინვოისის ნომერი.

Visa / Mastercard-ის საშუალებით გადახდის შესაძლებლობა აქტიურდება გადასახდელ ინვოის-ზე, შესაბამის ღილაკზე „გადახდა“ დაწკაპუნებისას.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტები:

შპს ინტერნეტ სერვისები
ს.კ: 406237763

ბანკი: JSC TBC BANK
ანგარიში: GE38TB7224136020100010
ბანკის კოდი: TBCBGE22

ბანკი: სს “საქართველოს ბანკი`
ანგარიში: GE46BG0000000101367892
ბანკის კოდი: BAGAGE22

პუნქტი 2. შპს ინტერნეტ სერვისები ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს მოთხოვნილი სერვისი თანხის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა.

პუნქტი 3. მომხმარებელი (იურიდიული ან ფიზიკური პირი) ვალდებულია, რომ მისი რეგისტრაციის (პროფილის) და გადახდის მონაცემები იყოს მუდმივად განახლებული.

თანხის დაბრუნების პოლიტიკა

სანამ თანხის დაბრუნების პოლიტიკას გაეცნობით, მანამდე გვსურს განვმარტოთ, რომ ჩვენი კომპანია (შპს ინტერნეტ სერვისები) მოხმარებლებს სთავაზობს ორი ტიპის მომსახურებებს:
1). მომსახურებები - შექმნილი საკუთარი შესაძლებლობებით;
2). მომსახურებები - შექმნილი სხვა პარტნიორი პროვაიდეტი კომპანიების მეშვებით.

მომხმარებლის მიერ მე-2 ტიპის მომსახურებების ღირებულების გადახდისას ანგარიშსწორება მომენტალურად ხდება პარტნიორ პროვაიდერ კომპანიასთანაც და თანხა გადადის პარტნიორი კომპანიის ანგარიშზე. ამჟამად მე-2 ტიპის მომსახურებებს მიეკუთვნება: დომენი, VPS სერვერები, ფასიანი SSL სერტიფიკატები.

პუნქტი 1. მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა არ დაბრუნდება შემდეგ შემთხვევებში:

- ზემოთ ნახსენები მე-2 ტიპის მომსახურებების გაუქმებისას: დომენი, VPS სერვერები, ფასიანი SSL სერტიფიკატები.
- თუ მომხმარებელი თანხის დაბრუნებას ითხოვს მას შემდეგ, რაც მას სერვისი შეუჩერდა ან მიიღო გაფრთხილებები ჩვენგან მომსახურების გამოყენების წესების დარღვევის გამო, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს გადახდილი თანხა უკან არ დაუბრუნდება. თუ მომხმარებელს სურვილი აქვს ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში ვეხმარებით გამოასწოროს წესების დარღვევის მიზეზები და განაგრძოს მომსახურების გამოყენება.

პუნქტი 2. გადახდილი თანხის დაბრუნების მეთოდები:

- 100.00 ლარამდე თახის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს საიტზე (finddomain.ge) თქვენი ანგარიშის ბალანსზე ჩარიცხვის სახით. თუ შეძენილი მომსახურების ხარისხი და პარამეტრები არ შეესაბამება ჩვენს საიტზე გამოქვეყნებულს და არ შეიძლება მისი გასწორება 24 საათის განმავლობაში, მაშინ თანხის დაბრუნება შესაძლებელია ასევე მომხმარებლის ანგარიშზე დაბრუნების გზით;
- 100.00 ლარზე მეტი თანხის დაბრუნება შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოში გახსნილ ანგარიშზე, პირველ რიგში იმ ანგარიშზე საიდანაც მოხდა თანხის გადმორიცხვა;
- სხვა ქვეყანაში გახსნილ ანგარიშზე თანხა არ დაბრუნდება.

პუნქტი 3. წინასწარ ხდება დასაბრუნებელი თანხის კალკულაცია: დასაბრუნებელ თანხას გამოაკლდება მომსახურების გამოყენების პერიოდი, ბეგარა, საბანკო გადარიცხვის საკომისიო, რომელიც დაანგარიშდება მომსახურების შეწყვეტის დღის მონაცემებით.

პუნქტი 4. თანხის დაბრუნება განხორციელდება იმავე ანგარიშზე თუ ეს ეკუთვნის მომხმარებელს (საქართველოში გახსილ ანგარიშზე) ან მომხმარებლის ანგარიშის

ბალანსზე. სხვის ანგარიშზე თანხის დაბრუნება შესაძლებელია დამატებითი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში.

პუნქტი 5. თანხის უკან დასაბრუნებლად აუცილებელია გადამხდელის იდენტიფიცირება, უნდა მოგვაწოდოს ხელშეკრულებაში ან საიტზე მითითებულ ელ.ფოსტაზე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა დასკანერებული სახით და მის საკუთრებაშის არსებული ანგარიშის ნომერი, საიდანაც განხორციელდა გადახდა. კომპანიის შემთხვევაში უნდა მოგვაწოდოს ოფიციალური წერილი ხელშეკრულების შეწყვეტის და მომსახურების გაუქმების თაობაზე. შესაძლებელია დამატებით საჭირო გახდეს სხვა დეატალების მოწოდება თუ გადახდისას ჩართული იყო მე-3 პირი.

პუნქტი 6. თანხის უკან დაბრუნების პერიოდია 5 სამუშაო დღემდე, ყველა ინფორმაციის და დოკუმენტის მიღებიდან.